საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №05/26

2023 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის №05/05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიულის პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის №05/05 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24/11/2021, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.088.016005) დამტკიცებული დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სააგენტო უფლებამოსილია, სამინისტროსთან შეთანხმებით, სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, საკუთარი სახსრები გადასცეს შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ან მის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის მინისტრის **კარლო სიხარულიძე**
მოვალეობის შემსრულებელი